სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 671

ქ. თბილისი 31. 10. 2012 წელი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"), მისი თავმჯდომარის დიმიტრი გეგელიას სახით და მეორეს მხრივ, შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი"), მისი დირექტორის ბაკურ მირიანაშვილის სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და პრეტენდენტის საკონკურსო წინადადების საფუძველზე, კონკურსის ჩატარების შედეგად დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი (№637) მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული შესყიდვის ობიექტი 25 000 (ოცდახუთიათასი) ლარად. (შემდგომში "ხელშეკრულების ღირებულება")

წინამდებარე ხელშეკრულება ადასტურებს შემდეგს:

ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები ქმნიან მოცემულ ხელშეკრულებას და წარმოადგენენ მის განუყოფელ ნაწილს:

ა) წინამდებარე ხელშეკრულება;

ბ) ტექნიკური პირობები;

გ) პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, საკონკურსო წინადადებაზე თანდართული ყველა სხვა საჭირო დოკუმენტი;

2. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

2.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შშემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

2.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

2.3. „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2.4. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

2.5. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

3. ხელშეკრულების საგანი

3.1 მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა.

3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის აღწერა მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში.

4. ხელშეკრულების ღირებულება

4.1.ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 25 000 (ოცდახუთიათასი) ლარს.

შპს * AKHALI SAKKALAKMSHENPROJ. * 205286616

4.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს - მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსის მოვალეობის შემსრულებელი - ჯონი მჭედელაძე.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 14 დღისა.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებაზე უფლებამოსილ პირს წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების 5.1 მუხლში მითითებული პირ(ებ)ი.

7. ანგარიშსწორება

7.1. ანგარიშსწორება მოხდება ლარებში

7.2. გადახდის ფორმა - უნაღდო

7.3. ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღეში. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყაროა: სახელმწიფო ბიუჯეტი;

8. ფასები

8.1. ხელშეკრულებაში განსაზღვრული ფასის ცვლილება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ შემთხვევებში:
ა) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში (დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10 %-ზე მეტი ოდენობით გაზრდა).

8.2. ფასების ცვლილების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებას.

9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2. ამ ხელშრეკრულების მიზნებისათვის ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან მხარეების შეცდომებთან და დაუდევრობებთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, ეპიდემიით;

9.3. ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს

მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

10. მხარეთა ურთიერთობა

10.1. ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება მხარეთა შორის უნდა ატარებდეს წერილობით ფორმას. წერილობითი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს იგზავნება საფოსტო გზავნილის სახით;

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, ამ თარიღიდან რომელიც უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. ფორს-მაჟორული გარემოებების გარდა, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების ღირებულების 0.1 %-ის ოდენობით, ხოლო, თუკი ადგილი აქვს ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობას, პირგასამტეხლო შეადგენს ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1 %-ს, რომლის გადახდა მოხდება მისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში.

11.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

11.3. გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1 %-ის ოდენობით.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12. გადასახადები და ბაჟები

12.1. მიმწოდებელი პასუხს აგებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, დაბეგვრის თანხის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 3 დეკემბრის ჩათვლით.

14. დამატებითი პირობები

14.1. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის და/ან არაჯეროვანი შესრულებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

14.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან და ორი ეგზემპლარი - შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.3. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ. საერთო სასამართლოების დეპარტამენტი მის: ქ. თბილისი ძმები ზუბალაშვილების ქ. N32 ს/ნ 203860642	შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი" მის: ქ.თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №2/პეკინის ქ.№34 ს/ნ: 205286616 სს " თიბისი ბანკი" ბანკის კოდი: TBCBGE22 ა/ა: GE78TB7209236050100001
დეპარტამენტის თავმჯდომარე დ. გეგელია	შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს დირექტორი ბ. მირიანაშვილი

''ახალი საქქალაქმშენპროექტი''
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი

№ ად-120 31 ოქტომბერი 2012 წელი

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან
არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტის
საკონკურსო კომისიას

№637 კონკურსის პირობების თანახმად, წარმოგიდგენთ საკონკურსო წინადადებას *„მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის“* შესადგენად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად

პატივისცემით,
დირექტორი ბ. მირიანაშვილი

შემოსული
№ 5778 31.10.12
10⁴⁵.

შპს "ახალი საქქალაქმშენპროექტი"
(საქართველოს ქალაქთმშენებლობისა და ტერიტორიული დაგეგმარების საპროექტო ინსტიტუტი)
საქართველო, თბილისი, 0160,
ალ. ყაზბეგის გამზ. №2 / პეკინის ქ. №34

"AKHALI SAKKALAKMSHENPROEKTI" LTD.
(The Georgian Institute for Regional & Urban Planning)
2 A.Kazbegi Ave./ 34 Pekin Str. 0160,
Tbilisi, Georgia

Tel: (995 32) 37 52 26; E-mail: sqmp_project@yahoo.com
www.sqmp-project.ge

ტექნიკური დავალება

შესყიდვის ობიექტია კონკურსის მეშვეობით მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვა

ობიექტის ტერიტორია: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანის მე-10 კილომეტრზე, ნაკვეთის ნომერი10/079, საკადასტრო კოდი 01.13.01.010.079, ტერიტორიის ფართობი 18438.0 მ^2.

ნაკვეთი მდებარეობს დ. აღმაშენებლის ხეივნის მარჯვენა მხარეს, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კუთვნილი ცენტრის მიმდებარედ. ტერიტორია ხასიათდება წყნარი რელიეფით (ვაკე) და თავისუფალია შენობა-ნაგებობებისაგან.

მშენებლობა დაწყებულია და მოწყობილია საძირკვლის 80 სმ სისქის რკინაბეტონის მონოლითური ფილა და აგრეთვე არსებული საძირკვლის ზედა მონოლითური რკინაბეტონის მზიდი კონსტრუქციების ნაწილი და დაყენებულია ქარგილები და არმატურის ჩონჩხედი შემდგომი დაბეტონებისათვის.

საკონკურსო მოთხოვნები

დასაპროექტირებელი შენობა უნა იყოს ოთხ სართულიანი, სარდაფით და უნდა შედგებოდეს სამი ძირითადი ნაწილისგან:

1. ადმინისტრაცია და სასწავლო აუდიტორიები;

2. სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი;

3. სააქტო დარბაზი 150 კაცზე.

1. ადმინისტრაცია და სასწავლო აუდიტორიები:
   ადმინისტრაციისათვის სათავსოები უნდა განთავსდეს შენობის I სართულზე. საჭიროა 6-7 სამუშაო ოთახი საერთო ფართობით 120 მ^2-მდე.

   სასწავლო აუდიტორიები გათვალისწინებულია შემდეგი სახის: 4 აუდიტორია 50 მსმენელზე და 3 აუდიტორია 30 მსმენელზე. სართულებზე უნდა იქნას გათვალისწინებული საერთო დანიშნულების ქალთა და კაცთა საპირფარეშოები, ხოლო I სართულზე უნდა მოეწყოს კაფე-ბუფეტი დამხმარე სათავსოთი – 35 მ^2.

2. სასტუმროს ტიპის საცხოვრებელი 40 ადგილზე. ოთახები უზრუნველყოფილი უნდა იყოს სველი წერტილებით. სველ წერტილებში უნდა მოეწყოს ტრაპები ღია შხაფის მოწყობისათვის.

3. სააქტო დარბაზი 150 კაცზე, უნდა აღიჭურვოს თანამედროვე სისტემებით: გახმოვანება, საინფორმაცო ეკრანი და კომფორტული ვენტილაცია (კონდიციონირება).

აუცილებელი პირობა

მშენებლობისათვის გამოყენებული უნდა იქნას არსებული საძირკვლის ფილები. სხვა გადაწყვეტილებისათვის კონკურსანტი თავისუფალია და არქიტექტურული გადაწყვეტა, მზიდი კონსტრუქციები და კომპოზიციური გადაწყვეტა შეუძლია მიიღოს მისეული გადაწყვეტილების საფუძველზე (შემსყიდველთან შეთანხმებით).

პროექტი უნდა მოიცავდეს:

1. არქიტექტურულ ნაწილს.

2. კონსტრუქციულ ნაწილს.

3. წყალსადენ-კანალიზაციას.

4. ელექტრო მომარაგებას.

5. გათბობა ვენტილიაციას.

6. სუსტ დენებს. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტს.

7. სამუშაოეთა ჩამონათვალის უწყისს, მოცულობებს და ხარჯთაღრიცხვას (საერთო ღირებულებით არაუმეტეს 870 000 ლარი), რომელიც შედგენილი უნდა იყოს შიდა სარემონტო სამუშაოების გათვალისწინებით.

8. აღნიშნულ პროექტს კონკურსში გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ უნდა გაეწიოს საავტორო ზედამხედველობა მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში.

9. იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს კონკურსში გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

10. საჭიროების შემთხვევაში პროექტის გარკვეული დეტალები შეიძლება განისაზღვროს შემსყიდველთან შეთანხმებით.

2012 წლის 31 ოქტომბერი

შემსყიდველი: **საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ საერთო სასამართლოების დეპარტამენტი**

კონკურსანტი: **შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“**

ობიექტი: **მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა**

მართლმსაჯულების სახლის ასაშენებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენას გთავაზობთ 25000 (ოცდახუთიათასი) ლარად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინული ყველა გადასახადის ჩათვლით.

დირექტორი ბ. მირიანაშვილი

რეკვიზიტები:

შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“

დირექტორი: **ბაკურ მირიანაშვილი**

მისამართი: 0160, ქ. თბილისი,

ალ. ყაზბეგის გამზირი №2/პეკინის ქ. №34

საიდენტიფიკაციო კოდი: 205286616

ტელეფონი: (995 32) 237 52 26

ელექტრონული მისამართი: sqmp_project@dsl.ge

სს „თიბისი ბანკი“-ს საბურთალოს ფილიალი

ბანკის კოდი: TBCBGE22

ანგარიშსწორების ანგარიში: GE78TB7209236050100 001

დირექტორი ბაკურ მირიანაშვილი

შპს „ახალი საქქალაქმშენროექტი“-ს
მიერ შესრულებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მომსახურების
ჩამონათვალი

მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების ღირებულება	დასრულების თარიღი
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისები საქართველოს მასშტაბით	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	15745 ლარი	მიმდინარე
საქ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ – აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმ. შენობის I სართულის რეკონსტრუქცია	აღსრულების ეროვნული ბიურო	11130 ლარი	2012 წ.
საქ. უზენაესი სასამართლოს რეკონსტრუქცია (II და VI სართ)	საქ. უზენაესი სასამართლო	4000 ლარი	2012 წ.
თეთრიწყაროს მუნიც-ის კოდის დევნილთა დასახლებაში საბავშვო ბაღის რეკონსტრუქცია	ქურთის მუნიციპალიტეტი	8024 ლარი	2012 წ.
ბაგრატის ტაძრის სრული რეაბილიტაციის საინჟინრო კომუნიკაციები	საქ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო	12 000 ლარი	2012 წ.
საავადმყოფო წინანდლის ქუჩაზე (თვალის კლინიკა)	შპს „ჩიჩუების თვალის კლინიკა“	32 500 ლარი	2012 წ.
დევნილთა დასახლებებისათვის საწყობების მშენებლობის საპროექტო ზედამხედველობა	გაერო	9020 ლარი	2012 წ.
მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი მტკვრის მარცხ.სანაპიროს, გულიას ქ. და ახალ მაგის. შორის	შპს „ჯორჯიან დეველოპმენტ გრუპი“	20294 ლარი	2012 წ.
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისები საქართველოს მასშტაბით	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	25141 ლარი	2011 წ.
დაბა სტეფანწმინდაში, სასტუმრო „ყაზბეგის“ რეკონსტრუქცია	შპს „ქროსვეისი“	43594 ლარი	2011 წ.
დაბა სტეფანწმინდაში, სასტუმრო „ყაზბეგის“ რეკონსტრუქციისათვის ბეტონის მარკიანობის დადგენა	შპს „ქროსვეისი“	1200 ლარი	2011 წ.
ქუთაისისა და გურჯაანის სასამართლოებში საოფისე ფართების მოწყობა	საქ. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტი	4500 ლარი	2011 წ.
გურჯაანის სასამართლოს დამატებითი საოფისე ფართის მოწყობა	ფონდი „თემიდა“	2000 ლარი	2011 წ.
წალკაში, გარდაბანში, ზესტაფონში, ჭიათურაში, მარნეულში, თეთრიწყაროში საავადმყოფოების შენობების საინჟინრო ნაწილების კორექტირება და ლიფტები	შპს „ირაო მედი“	8580 ლარი	2011 წ.
გარდაბანში, ზესტაფონში, ჭიათურაში, მარნეულში, თეთრიწყაროში საავადმყოფოების შენობებზე მიშენების პროექტები	შპს „ირაო მედი“	1800 ლარი	2011 წ.
წალკაში, გარდაბანში, ზესტა-ფონში, ჭიათურაში, მარნეულში, თეთრიწყაროში საავადმყოფოების მშენებლობის ზედამხედველობა	შპს „ირაო მედი“	7813 ლარი	2011 წ.

„ლიბერთი ბანკი“-ს შენობის ფასადზე ლიფტის მოწყობა	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	1000 ლარი	2011 წ.
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისები ხულოში, დმანისსა და ხარაგაულში	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	3377 ლარი	2011 წ.
თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, 9 საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრება	ვაკე–საბურთალოს რაიონის გამგეობა	14800 ლარი	2011 წ.
თბილისში, ვაკე–საბურთალოს რაიონში, 1 საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრება	ვაკე–საბურთალოს რაიონის გამგეობა	1500 ლარი	2011 წ.
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მარნეულის ოფისის საინჟინრო ქსელები	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	800 ლარი	2011 წ.
თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონში საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრება	დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის გამგეობა	2000 ლარი	2011 წ.
ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი დიღომში	გიორგი ბაგრატიონი	4292 ლარი	2011 წ.
გორის რ-ნის სოფ. სკრაში სამეურნეო დანიშნულების სათავსო	გაერო	600 ლარი	2011 წ.
„ლიბერთი ბანკი“-ს შენობის რეკონსტრუქციის პროექტები	ს.ს. „ლიბერთი ბანკი“	114321 ლარი	2010 წ.
სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ოფისები საქართველოს მასშტაბით	სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო	40000 ლარი	2010 წ.
დაბა ტაბახმელაში, წავკისში, მშენებარე საცხოვრებელი სახლის მდგრადობის დადგენა და მზიდი კონსტრუქციების გამაგრება	შპს „ჩერონი“	2050 ლარი	2010 წ.
ონის რაიონში მიწისძვრის შედეგად დაზიანებული სახლების დაზიანების ხარისხის შესწავლა, კატეგორიების დადგენა, აღდგენა-გამაგრების პროექტების შედგენა	საქართ. მუნიციპალური განვითარების ფონდი	18980 ლარი	2010 წ.
15 და 25 ადგილიანი საავადმყოფოების შენობების ტიპიური პროექტების მიბმა წალკაში, გარდაბანში, ზესტაფონში, ჭიათურაში, მარნეულში, თეთრიწყაროში	შპს „ირაო მედი“	116158 ლარი	2010 წ.
15 და 25-ადგილიანი საავადმყოფოების შენობების ტიპიური პროექტები	სადაზღვევო კომპანიები „ალდაგი“ „იმედი ლ“, „აი სი ჯგუფი“, „ვესტი“, „არქიმედეს გლობალ ჯორჯია“ „ირაო მედი“	48506 ლარი	2010 წ.
დაბა სტეფანწმინდაში, ზოგადი პროფილის საავადმყოფოს ვენტილაცია-კონდიცირება-თბომამარაგება	სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“	5300 ლარი	2010 წ.
დაბა ბაკურიანში, ზოგადი პროფილის საავადმყოფოს საინჟინრო ქსელების რეკონსტრუქცია	სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგი“	7800 ლარი	2010 წ.

დირექტორი ბ. ჟორიანაშილი